შპს სკოლა „ჰორიზონტი“

მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტი — მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (შემდგომში — "სარგებლობის წესი") განსაზღვრავს შპს სკოლა "ჰორიზონტის" (შემდგომში — "სკოლა") მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა მატერიალური რესურსით სარგებლობის პირობებს.

1.2. სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში აუცილებელი, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებას.

1.3. სკოლაში როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა საგანმანათლებლო, მატერიალური და ელექტრონული რესურსი, მათ შორის: კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები, ტელევიზორები, რუკები, გლობუსები, წიგნები, ლაბორატორიები და სხვა.

მუხლი 2. მიზნები და ამოცანები

2.1. სარგებლობის წესის ძირითადი მიზანია სკოლაში არსებული ტექნოლოგიებისა და მატერიალური რესურსის გამოყენებით სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა, ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება.

2.2. მატერიალური რესურსებით სარგებლობის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობის ორგანიზება მოსწავლეთა ცოდნის გასაღრმავებლად და გონებრივი თუ ფიზიკური უნარ-ჩვევების განსავითარებლად.

2.3. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებისთვის ფიზიკური მოვლენის ახსნას, ექსპერიმენტის ჩატარებასა და ახალი საექსპერიმენტო მოდელის შექმნას.

მუხლი 3. ძირითადი პრინციპები და ფუნქციები

3.1. სკოლაში არსებული მატერიალური რესურსებით სარგებლობა ეფუძნება ხელმისაწვდომობის, თანასწორობისა და პასუხისმგებლიანი გამოყენების პრინციპებს.

3.2. სკოლაში არსებული რესურსები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის.

3.3. რესურსებით სარგებლობისას უზრუნველყოფილია მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობა.

3.4. სკოლა უზრუნველყოფს მატერიალური რესურსების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოებისათვის.

თავი II სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობა

მუხლი 4. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია

4.1. სკოლას აქვს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N 672 ბრძანებით დამტკიცებული რეკომენდაციების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

4.2. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში წარმოდგენილია ფიზიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის საგანმანათლებლო რესურსები.

ა) ფიზიკის მიმართულებით წარმოდგენილია საექსპერიმენტო ხელსაწყოები და ფიზიკური მოვლენის ამსახველი თვალსაჩინოებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებს ფიზიკური მოვლენის ახსნაში, ექსპერიმენტის ჩატარებასა და ახალი საექსპერიმენტო მოდელის შექმნაში.

ბ) ბიოლოგიის ნაწილი აღჭურვილია ადამიანის ორგანოების მულაჟებით, მიკროსკოპითა და მრავალფეროვანი თვალსაჩინოებებით. მოსწავლეებს შეუძლიათ მიკროსკოპით მუშაობა და სხვადასხვა ექსპერიმენტის ჩატარება. სივრცეში განთავსებულია პროექტორი სადგამით, კომპიუტერი და მაგნიტური დაფა.

გ) ქიმიის მიმართულებით წარმოდგენილია საექსპერიმენტო ხელსაწყოები და თვალსაჩინოებები, მათ შორის: მიკროსკოპები, რეაქტივები, კოლბები და სხვა ინვენტარი, რომლის გამოყენებითაც მოსწავლეებს ეძლევათ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცდების ჩატარების შესაძლებლობა.

4.3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით სარგებლობისას, გაკვეთილის მიმდინარეობის დროს, ლაბორატორიის კარი უნდა დაიხუროს.

4.4. ექსპერიმენტის/ცდის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ მასწავლებლის მიერ ლაბორატორიულ ამოცანაზე დაშვების მიღების შემდეგ.

4.5. ლაბორატორიულ ამოცანაზე დაშვების მისაღებად მოსწავლე მასწავლებლისგან უნდა გაეცნოს ლაბორატორიული ამოცანის აღწერასა და მისი შესრულების უსაფრთხოების წესებს.

4.6. ყოველი ცდის ჩატარების დროს გამოყენებული უნდა იქნეს ერთჯერადი ხელთათმანები. ხელთათმანები უნდა გადაიყაროს ცდის დასრულებისთანავე ლაბორატორიაში განთავსებულ სანაგვე ურნაში.

4.7. დაუშვებელია ცდის ჩატარება დამცავი სათვალის გარეშე.

4.8. სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელმა/მოსწავლემ ხელსაწყო უნდა გამორთოს, სამუშაო ადგილი და ლაბორატორია კი მოწესრიგებულად დატოვოს.

4.9. აწყობილი ხელსაწყოს ჩართვამდე მოსწავლე ვალდებულია მასწავლებელს აჩვენოს მომზადებული დანადგარი, ასევე ექსპერიმენტის/ცდის შესრულების მსვლელობის ჩასაწერად მომზადებული დაკვირვების ფურცელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4.10. დაუშვებელია ელექტრულ ხელსაწყოებთან მუშაობა სველი ხელით. დიდი ტევადობის კონდენსატორებთან მუშაობისას აუცილებელია ინდივიდუალური უსაფრთხოების საშუალებების გამოყენება — დამცავი ხელთათმანი, იზოლირებული სახელურები, დამჭერები და ა.შ.

4.11. დაუშვებელია ელექტრო ხელსაწყოების არაიზოლირებულ მომჭერებთან დაუცველი ხელის შეხება.

4.12. თხევადი და მყარი სხეულების გახურებისას დაუშვებელია ჭურჭელში ზემოდან ჩახედვა.

4.13. დაუშვებელია ლაზერის სხივის ან მისი ანარეკლის თვალში მიმართვა, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს თვალის დაზიანება და მხედველობის დაკარგვაც კი.

4.14. დაუშვებელია ცდის ჩატარების დროს მოსწავლის ან/და მასწავლებლის მიერ ცდისათვის საჭირო მასალის თვალებთან ან პირთან ახლოს მიტანა.

4.15. ყოველი ცდის ჩატარების შემდეგ საჭიროა გამოყენებული ჭურჭლის გარეცხვა.

4.16. სპირტქურასთან ახლოს ადვილად აალებადი სხეულების, მაგალითად, ქაღალდის დადება არ შეიძლება.

4.17. დაუშვებელია ცდის მსვლელობისას გაცხელებული ჭურჭლის შენახვა მის გაცივებამდე.

4.18. აუცილებელია თითოეული ინციდენტის ადეკვატური შეფასება და ზედამხედველობის დაწესება.

4.19. თუ ცდის ჩატარებისას მოსწავლეს ან მასწავლებელს რომელიმე ნივთიერება შემთხვევით კანზე მოხვდება, აუცილებელია კანის საპნიანი წყლით დამუშავება და სკოლის ექიმთან კონსულტაციის გავლა.

4.20. ლაბორატორიაში დაცული უნდა იყოს სანიტარული ნორმები.

4.21. მინის საგნების გატეხვის შემთხვევაში აუცილებელია ლაბორატორიის სასწრაფოდ გასუფთავება მინის ნარჩენებისაგან.

4.22. სამუშაო ზონაში აკრძალულია საკვებისა და სასმელის მიღება, ასევე პირადი ნივთების შენახვა.

4.23. ლაბორატორია უნდა იყოს სუფთა და მოწესრიგებული. დაუშვებელია ცდის ჩატარების დროს მაგიდაზე განთავსებული იყოს ისეთი ნივთიერებები, რომლებიც ცდისათვის არ გამოიყენება.

4.24. ინფორმაცია უბედური შემთხვევის ან აშკარა პოტენციური დაზიანების საფრთხის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სკოლის დირექტორს.

4.25. მოსწავლის მიერ ლაბორატორიული აღჭურვილობის დაზიანების შემთხვევაში მშობელი ვალდებულია სკოლას აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაზიანება გამოწვეულია ექსპერიმენტის/ცდის ჩატარებისას.

4.26. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში შესვლა აკრძალულია მასწავლებლის ნებართვის გარეშე.

მუხლი 5. სკოლის ბიბლიოთეკა

5.1. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება აქვთ მოსწავლეებს, პედაგოგებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებს.

5.2. სკოლის ბიბლიოთეკა მკითხველებს ემსახურება როგორც ხელზე გატანით, ასევე სამკითხველო სივრცეში.

5.3. ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია 09:30 საათიდან 17:00 საათამდე.

5.4. საბიბლიოთეკო რესურსის გატანის ვადა განისაზღვრება ბიბლიოთეკის დებულებით.

5.5. დაუშვებელია წიგნზე ან პერიოდულ გამოცემაზე აღნიშვნების გაკეთება, ფურცლის გადაკეცვა, ფურცლის ამოხევა ან საბიბლიოთეკო რესურსის დაზიანება.

5.6. მომხმარებელი ვალდებულია ხელზე გატანილი წიგნი დროულად და სათანადო მდგომარეობაში დააბრუნოს.

5.7. სამკითხველო სივრცეში დაუშვებელია ხმაური და ხმამაღალი საუბარი.

5.8. რესურსის დაზიანების შემთხვევაში დამზიანებელი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ან სკოლის თანამშრომელი ვალდებულია აანაზღაუროს ზარალი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.9. დაუშვებელია სივრციდან რესურსის/წიგნების გატანა ბიბლიოთეკართან რეგისტრაციის გარეშე.

5.10. ბიბლიოთეკას აქვს შემდეგი რესურსი: კომპიუტერი.

5.11. სკოლის მასწავლებელს/თანამშრომელს პროფესიული განვითარების მიზნით შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკის სივრცით მისთვის ხელსაყრელ თავისუფალ დროს.

მუხლი 6. IT კაბინეტი

6.1. სკოლის IT კაბინეტში არსებული კომპიუტერებით სარგებლობის უფლება აქვთ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებს.

6.2. IT კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერებით.

6.3. IT კაბინეტით სარგებლობისას მომხმარებელი უფლებამოსილია:

ა) იმუშაოს საოფისე პროგრამებში, ინტერნეტში მოიძიოს ტექსტი და გადმოწეროს საჭირო მასალები;

ბ) ისარგებლოს ელექტრონული რესურსით და მისი გამოყენებით დაამუშაოს ლიტერატურა;

გ) ისარგებლოს ელექტრონული ფოსტითა და სკოლის ვებგვერდით.

6.4. დაუშვებელია:

ა) კომპიუტერში რაიმე ფაილის წაშლა, ასევე კომპიუტერის გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის;

ბ) კომპიუტერის გაუმართავად მუშაობის შემთხვევაში ხარვეზის თვითნებურად გასწორება.

6.5. კომპიუტერის დაზიანების შემთხვევაში დამზიანებელი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ან სკოლის თანამშრომელი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ იგი გამოწვეულია მისი დაუდევრობით ან განზრახი ქმედებით.

6.6. სკოლის მასწავლებელს/თანამშრომელს პროფესიული განვითარების მიზნით შეუძლია ისარგებლოს IT კაბინეტში არსებული კომპიუტერული ტექნოლოგიებით არასაგაკვეთილო და მისთვის თავისუფალ დროს.

მუხლი 7. სპორტული ინფრასტრუქტურა

7.1. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი.

7.2. სპორტული ინფრასტრუქტურით სარგებლობის უფლება აქვთ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებს.

7.3. სპორტული ინფრასტრუქტურისათვის სკოლას აქვს შემდეგი რესურსები: სპორტული ინვენტარი, ბურთები, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა და შესაბამისი ინვენტარი, სავარჯიშო რგოლები, სახტუნაო, შვედური კედელი, კალათბურთის ფარები, ბადმინტონის ჩოგნები/ბურთები და სხვა.

თავი III დასკვნითი დებულებები

მუხლი 8. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის მიღება და მასში ცვლილების შეტანა

8.1. სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესს შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

8.2. სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის უფლებამოსილება აქვს სკოლის დირექტორს.